პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 24 აგვისტო, 1943 წ. № 178 (6803). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ პოლკოვნიკ კონევს
არმიის გენერალ ვატუტინს
არმიის გენერალ მალინოვსკის

დღეს, 23 აგვისტოს, სტეპნოის ფრონტის ჯარებმა, ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარების აქტიური დახმარებით ფლანგებიდან, გააფთრებული ბრძოლების შედეგად, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით აიღეს ქალაქი ხარკოვი.

ამგვარად, უკრაინის მეორე დედაქალაქი—ჩვენი მშობლიური ხარკოვი განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ არამზადათა ჩაგვრისაგან.

ქალაქ ხარკოვის დაკავებისათვის წარმოებულ შეტევითს ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გვიჩვენეს მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, სიმამაცე და მანევრირების უნარი.

ქალაქ ხარკოვისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ მანაგაროვის, გენერალ-ლეიტენანტ კრიუჩენკინის, გენერალ-ლეიტენანტ შუმილოვის, გენერალ-ლეიტენანტ გაგენის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ როტმისტროვის ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გორიუნოვის მფრინავებმა, აგრეთვე გენერალ-მაიორ მ. ი. კოზლოვის 33-ე გვარდიული მსროლელი კორპუსისა და გენერალ-მაიორ კოლჩიგინის 34-ე მსროლელი კორპუსის ნაწილებმა.

ხარკოვის განთავისუფლების აღსანიშნავად გვარდიის ბელგოროდის 89-ე მსროლელ დივიზიას, 252-ე, 84-ე, 299-ე, 116-ე, 375-ე, 183-ე მსროლელ დივიზიებს, გვარდიის მე-15, 28-ე და 93-ე მსროლელ დივიზიებს მიეკუთვნოთ „ხარკოვის“ სახელწოდება და ამიერიდან მათ ეწოდოთ:

გვარდიის ბელგოროდ-ხარკოვის 89-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 252-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 84-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 299-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 116-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 375-ე მსროლელი დივიზია;
ხარკოვის 183-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის ხარკოვის მე-15 მსროლელი დივიზია;
გვარდიის ხარკოვის 28-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის ხარკოვის 93-ე მსროლელი დივიზია.

ხარკოვთან გამარჯვების გამო ზეიმის ნიშნად დღეს, 23 აგვისტოს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ხარკოვი,—ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით.

შესანიშნავი საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხარკოვის განსათავისუფლებლად წარმოებულ ოპერაციაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 23 აგვისტო.

ქრონიკა

დიპლომატიური კორპუსი დაბრუნდა ქ. მოსკოვში

სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, რომელიც საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1941 წლის შემოდგომაზე გადაყვანილი იყო ქ. კუიბიშევში, 1943 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სრული შემადგენლობით დაბრუნდა ქ. მოსკოვში. (საკდესი).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზას

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და გზათა სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით 1943 წ. ივლისის მუშაობის შედეგების მიხედვით ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზას მიენიჭა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბრძანება შესრულებულია

ხარკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთი, 23 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ადგილმდებარეობა, რომელზედაც უნდა ემოქმედნა უფროს ლეიტენანტ საპუნკოვის ბატალიონს, ხელს უწყობდა მოწინააღმდეგის თავდაცვას. ტყით დაფარული, ხევებით ძლიერ დასერილი მაღლობი ძნელადგასასვლელი იყო. ხე-ტყის ხერგი, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები, დანაღმული მინდრები, მავთულხლართის ღობურები, მრავალფეროვანი ცეცხლი თითქო სავსებით მიუსვლელს ხდიდნენ გერმანელთა პოზიციების მისადგომებს.

ბრძანებაში კი ნათლად იყო ნათქვამი: იერიში მიიტანეთ და ხელთ იგდეთ გერმანელთა გამაგრებული პოზიციებიო.

მტერთან შესაბმელად გამზადებული ბატალიონი დანიშნულ ვადას ელოდა. ოფიცრები და პოლიტმუშაკები ბრძოლის წინ უკანასკნელად მიხოვდნენ მებრძოლთა ერთი ჯგუფიდან მეორესთან, ერთხელ კიდევ განმარტავდნენ ამოცანას, ამოწმებდნენ თითოეულის მზადყოფნას.

ჰაერი გააპო ჩვენი არტილერიის ზალპებმა. ცეცხლის ზვირთის შემდეგ ბატალიონი წამოდგა საიერიშოდ. მაგრამ, აი პირველი დაბრკოლება—დანაღმული მინდორი. მესანგრეთა ლოდინი იერიშის ტემპის შეჩერებას, მტრისათვის შესვენების მიცემას ნიშნავდა. ბატალიონის მეთაურის მოადგილემ პოლონწილში ოფიცერმა კადიაევმა გადასწყვიტა მესანგრეთა დაუხმარებლად ემოქმედნა. ბრძოლის ველი გაწმენდილ იქნა ნაღმებისაგან თვით მებრძოლთა მიერ, და ბატალიონმა წინ გასწია.

გზა გადაღობა ტყის ხერგმა, რასაც მავთულხლართი ჰქონდა შემოხვეული. წინ გაიჭრნენ გულადები და ხელით გასწმინდეს ხერგი. მძლავრი „ვაშა“ ისმოდა ტყის სიღრმეში. აი, მებრძოლები უკვე მტრის პირველ სანგრებთან არიან, მაგრამ ჰიტლერელთა მძლავრი ცეცხლი ჰფარავს მიწის უკანასკნელ მეტრებს. ოფიცერი ვასიუტა 18 მამაცი ადამიანი გაიჭრა მოწინააღმდეგის ზურგში. 19 მებრძოლი ეკვეთა ერთ ასეულამდე გერმანელებს, ნაწილობრივ გასწყვიტა ისინი, ნაწილობრივ კი უკუაქცია. მამაცთა ჯგუფმა გზა გაუწმინდა ბატალიონს. მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა სანგრები და გამაგრდნენ შიგ.

ჰიტლერელები ვერ ურიგდებოდნენ მნიშვნელოვანი პოზიციის დაკარგვას. ტალღებად მოედინებოდნენ ბატალიონისაკენ ფაშისტთა წყებები ტანკებითურთ. ბატალიონის მებრძოლებმა მოსპეს მტრის 2 ტანკი და 2 ზარბაზანი. საპუნკოვის ბატალიონმა მოიგერია 5 ძლიერი კონტრშეტევა. ძნელია გმირების გაბედულ ამ ბრძოლაში. აქ ყველა იბრძოდა გმირულად, საბრძოლო საქმის ცოდნით.

სარდლობის საბრძოლო ბრძანება ბატალიონმა ღირსეულად შეასრულა.

ლეიტენანტ ა. თათარაძის მამაცობა

ლეიტენანტი ავთანდილ არსენის-ძე თათარაძე მეზენიტეა. ამას წინათ მას ბრძოლაში შეზნდილი მეგობარი ლეიტენანტი ა. მელიკაური მოუკლეს, როცა იგი „იუნკერსს“ იერიშებს იგერიებდა. თათარაძემ მეგობრის გვამთან ფიცი დასდო, რომ შურს იძიებდა საზიზღარ ფაშისტებზე.

დადგა შურისგების ჟამიც. ფაშისტმა დამპყრობლებმა უთმრავი „ვეფხვები“ გამოუშვეს ჩვენს წინააღმდეგ იერიშზე, მაგრამ ჩვენმა არტილერისტებმა სათანადო შეხვედრა გაუმართეს მათ და უკუაქციეს. მაშინ გერმანელები „იუნკერსებით“, „მესერშმიტებით“ და „ჰაინკელებით“ წამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ამ დროს გაისმა ლეიტენანტ თათარაძის მტკიცე ბრძანება—„ადგილებზე“. ბრძოლის პირველსავე წუთებში ორი „იუ-88“, ცეცხლის ალში გახვეული. უკვე მოქანცულიყო ქვეითი. დანარჩენმა სვავებმა დაიწყეს ბომბების უწესრიგოდ ჩამოყრა.

ლეიტენანტ ა. კრავეიშვილი
მოქმედი არმია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

22 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ხარკოვის მიმართულებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ბრიანსკის მიმართულებით და სპას-დემენსკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად.

დონბასში, იზიუმის სამხრეთით და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები წარმატებით ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

21 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 187 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 53 თვითმფრინავი.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, იგერიებდნენ მის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 5 ნაწილმა ბრძოლების ორი დღის განმავლობაში გაეღლიტა 600 ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 9 ქვემეხი, 55 ტყვიამფრქვევი, 3 საწყობი საომარი მასალა, დიდძალი სხვადასხვა საჭურველი და სამხედრო ქონება. 5 შენაერთის მებრძოლებმა, დაიკავეს რა მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტების ჯგუფი, მოსპეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 150-მდე ჯარისკაცი.

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები გაფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებთან. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 80 ტანკი და 200-ზე მეტი ავტომანქანა. სხვა უბნებზე ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს წყლის ზღუდე, განავითარეს შეტევა და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მოსპობილია ორ ბატალიონამდე ჰიტლერელი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 3 ტანკი, 3 თვითმავალი და 9 საველე ქვემეხი, 4 რადიოსადგური და 3 საწყობი საომარი მასალა. წამოყვანილია ტყვეები.

საბჭოთა ტანკისტები გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მძიმე ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. 3 ჩვენი ტანკი, ამხ. ანდრიოშჩუკის, როკუშისა და კოვალენკოს მეთაურობით, ჩაება ბრძოლაში გერმანელთა ექვს მძიმე ტანკთან. ჩვენმა ტანკისტებმა დააზიანეს და ცეცხლი წაუკიდეს მტრის 5 მანქანას. გადარჩა გერმანელთა მხოლოდ ერთი ტანკი, რომელმაც მოასწრო ბრძოლის ველიდან მიმალვა. ამხ. გრიბანოვის, პერცევის, ბრეზგინისა და ლისიცკის ტანკების ეკიპაჟები შეხვდნენ გერმანელთა 15 ტანკს. ხანმოკლე ბრძოლაში საბჭოთა ტანკისტებმა დასწვეს მოწინააღმდეგის მძიმე ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა, მოსპეს 3 საშუალო და 4 მსუბუქი ტანკი.

* * *

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები წარმატებით ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენმა ნაწილებმა ტყვედ წამოიყვანეს 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგემ სცადა შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების წინწაწევა და რამდენიმე გაფთრებული კონტრიერიშე მოიტანა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ჩვენი ქვეგანაყოფები ყვლავ მიიწევენ წინ, უკუაგდებენ მოწინააღმდეგეს და სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. არასრული ცნობებით, დღეს დღის განმავლობაში, მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და მოწინააღმდეგის 40-ზე მეტი ტანკი. ხელთ ვიგდეთ დავლა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 21 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით გვარდიის 6 ნაწილის მებრძოლები ერთ დასახლებულ პუნქტში გარს შემოერტყნენ და მოსპეს გერმანელთა გარნიზონი, რომელმაც უარი სთქვა იარაღის დაყრაზე. მოკლულია 300-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე მებრძოლთა ჯგუფი ლეიტენანტ კრავჩენკოს მეთაურობით შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და ტყვედ ჩაიგდო 25 ჯარისკაცი და ერთი გერმანელი ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დავლა, რომელშიც არის 6-ლულიანი ნაღმსატყორცნი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და რადიოსადგური.

* * *

სპას-დემენსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პოზიციების გასაუმჯობესებლად. ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ორმა პოლკმა ქვეითმა ჯარმა ტანკებისა და ავიაციის დახმარებით კონტრიერიშე მოიტანა მაღლობებზე, რომლებიც 6 ნაწილის მებრძოლებს უკავიათ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიშები, დაედევნენ მოწინააღმდეგეს და გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები. ბრძოლის შედეგად მოსპობილია სულ ცოტა 1.500 ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია 15 ტანკი, 14 ქვემეხი, აქედან 5 თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა. ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ტორპედიანი კატერი და თვითმავალი კარჭაპი.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა შეაღწიეს გერმანელთა გარნიზონის განლაგებაში, მოხსნეს ფუშაგები და ცეცხლი წაუკიდეს საავიაციო ბენზინისა და საცხი მასალების საწყობს. კალინინელთა სხვა რაზმის პარტიზანების ჯგუფმა ააფეთქა გერმანელთა ყაზარმა დიდ დასახლებულ პუნქტში. აფეთქების შედეგად მოკლულია 70 ჰიტლერელი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი ჰიტლერელი არამზადების მიერ ხარკოვის ოლქის სოფელ ვესიოლოგში ჩადენილ მზეცობათა შესახებ.

„გერმანელთა მიერ ჩვენი სოფლის ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ადამიანებისათვის დაიწყო მძიმე, მონური ცხოვრება. ფაშისტმა სამხედრო ხელისუფლებამ სოფელში საბატონო ბეგარა შემოიღო. კომენდანტის ბრძანებით 14-დან 65 წლამდე ასაკის ყველა მცხოვრებს უნდა ემუშავნა გერმანელებისათვის კვირაში სამ დღეს. სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის ფაშისტი მტაცებელები საბჭოთა ადამიანებს კარცერში ამწყვდევდნენ, ამათრახებდნენ. იმის გამო, რომ ბევრმა კოლმეურნემ უარი სთქვა სამუშაოზე გამოსულიყო, ჰიტლერელებმა გასული წლის ზამთრის დგომაზე დააპატიმრეს და გერმანულ ციტადელში გარეკეს 79 მშვიდობიანი მოქალაქე. გერმანელებმა გააჩანაგეს ჩვენი სოფელი და გაძარცვეს მოსახლეობა. ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დაანგრიეს და დასწვეს კოლმეურნეთა 320 სახლი, საავადმყოფო, საბავშვო სახლი, 2 დაწყებითი სკოლა და ერთი არასრული საშუალო სკოლა, კლუბი, ფოსტა, სამი კოლმეურნეობისა და ერთი საბჭოთა მეურნეობის ყველა სამეურნეო ნაგებობა“.

აქტს ხელს აწერენ: სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ი. სამოილენკო, სოფლის მცხოვრებნი—მ. ზოლოტარი, ს. მინკარენკო, ნ. პშენიჩნაია, ს. კრუტკო და სხვები.

ისინი ლენინგრადთან შეხვდნენ ერთმანეთს

„შალვა გძელიძე და ტიტიკო კვიტაშვილი დაიბადნენ და ცხოვრობდნენ შესანიშნავ მხარეში—საქართველოში. ისინი გაიზარდნენ მაღალ მთებსა, მოჩუხჩუხე ნაკადულებსა და მარადმწვანე ხეობებს შორის. შალვა და ტიტიკო კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ხშირად ხვდებოდნენ ერთიმეორეს დღესასწაულებზე და ბავშვებივით მხიარულობდნენ. მათ ეგონათ, რომ ვერავინ ვერ გაბედავდა ამ მშვიდობიანი ბედნიერი ცხოვრების დარღვევას.

ომი მოულოდნელად დაიწყო. გძელიძე და კვიტაშვილი მებრძოლები გახდნენ. ისინი სხვადასხვა ნაწილებში დანიშნეს. გამოთხოვების შემდეგ ერთმანეთის ამბავი აღარ იცოდნენ.

* * *

გალეშილ ჰიტლერელებს გაფთრებული იერიში მოჰქონდათ ერთ დასახლებულ პუნქტზე. სანგარში ტყვიამფრქვევს მიჰკროდა გძელიძე. იგი არწივის თვალით უკვე არჩევდა რქიან მუზარადდახურულ მხეცთა სახეებს.

— სროლა ჯერ კიდევ ადრეა,—ამბობდა გძელიძე.—უფრო ახლოს მოვიდნენ. კარგად ვაეუმასპინძლდები.

მის გვერდით სანგარში მწოლარე მებრძოლები გაბრაზებით ილანძღებოდნენ:

— ეშმაკის კერძია და არა მეტყვიამფრქვევი. რას დადუმებულა? ხომ არ დაფრთხა ამ არამზადების დანახვით?

მსროლელებს ხელები მაგრად ჩაეჭიდათ შაშხანებისათვის. სურდათ ჩახმახისთვის გაწოლილათ, მაგრამ სროლის დაწყების ბრძანება არ იყო.

ფაშისტები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ. ახლა უკვე ყველას შეეძლო მკაფიოდ გაერჩია ავტომატმომარჯვებული მობრბავი ფიგურები.

ტყვიამფრქვევი კი სდუმდა. თითქოს ერთი წუთი კიდევ, და ნერვები ვეღარ აიტანდა.

დადგა კრიტიკული მომენტი. გერმანელები 100 მეტრზე მოახლოვდნენ. გძელიძე ტყვიამფრქვევს მიეკრა.

— ეგრე, ეგრე... 20 მეტრი კიდევ და მე ვაჩვენებ მაგათ...

ხელები მარწუხივით ჩასჭიდა ტყვიამფრქვევის სახელურს. პირი მაგრად მოეკუმა.

— ან სიცოცხლე ან სიკვდილი, ახლა ან არასოდეს.

და გძელიძემ სასხლეტს მოსწია. გერმანელები აქეთ-იქით მიაწყდნენ. მარჯვედ ნასროლი ტყვიები სანიშნოებივით ჰყრიდა მიწაზე შავ ფიგურებს. ცოცხლად დარჩენილებმა უკან მოჰკურცხლეს.

— ყოჩაღ ბიჭო! მარჯვედ გაუმასპინძლდა გერმანელებს,—გაისმოდა მსროლელთა აღტაცებული შეძახილები.—ტყუილად ვლანძღავდით.

ხანმოკლე შესვენება გათავდა.

გერმანელები კვლავ წამოვიდნენ იერიშზე. ლაპარაკი ერთბაშად შესწყდა.

ამჯერად ფაშისტებს კიდევ უფრო მაგრად გაუმასპინძლდნენ. ჰიტლერელებმა სამჯერ სცადეს შემოტევა და ყოველთვის უკან იხევდნენ დიდი ზარალით.

გძელიძეს არ დაუთვლია, რამდენი ჰიტლერელი არამზადა გასწყვიტა მაშინ. ყოველ შემთხვევაში არა ერთი ათეული იქნებოდა.

ახსოვს, რომ ცხარე ბრძოლის შემდეგ გრძნობაზე მოვიდა ჰოსპიტალში.

* * *

კვიტაშვილი სხვა უბანზე ომობდა, სადაც წითელი არმიის ნაწილები შემომტევ ფაშისტთა ურდოების ძირითად ძალას აკავებდნენ.

ერთი მნიშვნელოვანი პუნქტისაკენ გერმანელები განსაკუთრებული გაფთრებით მიიწევდნენ. მებრძოლებს ბრძანება მიეცათ თავგანწირულად მდგარიყვნენ და ერთი ნაბიჯითაც არ გამოეშვათ მტერი.

კვიტაშვილს ვაჟკაცის გული აქვს. მას ესმოდა, რომ ამ ნაკვეთ მიწაზე, რომლის დაცვაც მას მიანდეს, იგი იცავდა თავის სამშობლოს, თავის სახლს, თავისი ოჯახის ღირსებას და შვილების სიცოცხლეს. ბრძოლა შეუთავარი იყო და არც დღისით, არც ღამით არ სცხრებოდა. გახურებულ ბრძოლაში კვიტაშვილს ვაზნები გაუთავდა. გერმანელები კი მოძვრებოდნენ. ფაშისტი ოფიცერი უკვე შემოხტა ბრუსტვერზე.

— სად მიხვალ? ვერ წახვალ, ქვეყარმავალო,—მიაძახა კვიტაშვილმა. მარჯვე ნახტომით ეძგერა გერმანელს, ფეხებში სტაცა ხელი, წააქცია და ხელებით დაახრჩო მხეცი. ოფიცერი მეთექვსმეტე გერმანელი იყო, რომელიც კვიტაშვილმა ამ ბრძოლაში მოჰკლა.

მეორე ჰიტლერელმა ავტომატის ჯერი დაუყარა კვიტაშვილს და ოთხი ტყვიით მძიმედ დასჭრა იგი.

* * *

გძელიძე მალე განიკურნა. ჯანღონით და კვლავ გერმანელების განადგურების სურვილით აღსავსე, იგი მოვიდა ჩვენი ნაწილის ერთ-ერთ ქვეგანაყოფში. ეს უკვე ბრძოლებში გამოწრთობილი ჯარისკაცი იყო, გიმნასტორის მარჯვენა მხარეზე ოქროს ლენტი ჰქონდა გაკეთებული.

ერთხელ, ასეულის საკომანდო პუნქტში რომ მივიდა, გძელიძემ ნაცნობი სახე დაინახა.

— კვიტაშვილი ხარ?! აქ როგორ მოხვედი? თანამემამულენი ერომძლეთ გადაეხვივნენ.

— ვირასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ლენინგრადთან შეგხვდებოდი, მეგობარო — ეუბნებოდა სიხარულით სახეგაბრწყინებული გძელიძე.

— გძელიძე! რა კარგად გამოვიდა! გესმის, ჩვენ, ქართველები, ვიცავთ ლენინგრადს, იმ ქალაქს, სადაც ლენინმა და სტალინმა მოგვიპოვეს საბჭოთა ხელისუფლება, თავისუფლება ქართველი ხალხისათვის. ეს ხომ მეტად დიდი პატივია.

მათ სთხოვეს სარდლობას ერთ ათეულში დაენიშნათ.

მას შემდეგ ისინი განუყრელნი არიან. ღეიძლი ძმებივით ცხოვრობენ. ერთ საწოლზე წვანან, ერთ კარდალში ჭამენ. და ერთად დადიან საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად.

— ჩვენ კიდევ ვიომებთ,—მტკიცე რწმენით ამბობენ გძელიძე და კვიტაშვილი,—ჩვენ კიდევ ვაჩვენებთ ფაშისტ გველის წიწილებს, თუ რის უნარი შესწევთ საბჭოთა საქართველოს შვილებს.

ფ. კონაკოვი

(გაზ. „ზა როდინუ“)

მევარცლე ანაშკინის რეკორდი

საძიებელ „მოლდიაკის“ (მაგადანი) მევარცლე ამხ. ანაშკინი წითელი არმიის გამარჯვებათა აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგა და უმაგალითო რეკორდი მოიპოვა. მან ცალაში ნახევარი თვის დავალება შეასრულა. ამ დღეს გამოცდილმა მევარცლემ ხალაროს უფრო მეტი ლითონი ჩააბარა, ვიდრე გამრეცხი ხელსაწყოს მთელმა კოლექტივმა.

23 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

23 აგვისტოს ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ქალაქი ხარკოვი.

ქალაქ ხარკოვის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გენერალ-მაიორ ანისიმოვის 252-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ბუნიაშინის 84-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ტრუხანოვსკის 299-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ჩურმაევის 28-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ მაკაროვის 116-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ სერიუგინის 89-ე გვარდიულმა ბელგოროდის მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ბოგოროდნენკოს 375-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ბასილევსკის 183-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ვასილევსკის 183-ე მსროლელმა დივიზიამ და გენერალ-მაიორ ტიხომიროვის 93-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ.

დონბასში იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებიან ბრძოლებს მოწინააღმდეგეთან. ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სამი დღის ბრძოლების შედეგად წინ წაიწიეს 30-35 კილომეტრით და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი დონეცკი, რკინიგზის სადგური დონეცკ-ამვროსიევკა.

22 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 134 თვითმფრინავი.

* * *

დღეს ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ქალაქი ხარკოვი. საბჭოთა დივიზიები შეიჭრნენ ხარკოვში დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები ქუჩებში. ჩვენი მოიერიშე რაზმები ერეკებოდნენ გერმანელებს გამაგრებული სახლებიდან და თავდაცვითი ნაგებობებიდან. დღეს დღისით საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ხარკოვს იცავდა, და მთლიანად დაიკავეს ქალაქი. მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი განიცადა და უკან იხევს ჩვენი ჯარების დარტყმებით. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა.

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებთან. საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში, გაეღლიტეს 2.000-მდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი, დაიზიანეს და დასწვეს გერმანელთა სულ ცოტა 40 ტანკი. სხვა უბანზე 6 შენაერთის მებრძოლები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და 15 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა სულ ცოტა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი. მოწინააღმდეგეს წავართვეთ 25 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 162 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

დონბასში ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მტერი გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა და არა ერთხელ გადმოდიოდა კონტრიერიშზე. ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური დონეცკ-ამვროსიევკა. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოჰყოლია. მარტო 5 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს მტრის 15 ტანკი. წამოვიყვანეთ 100-ზე მეტი ტყვე.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 17 თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებითს ბრძოლებს, რომელთა შედეგად ხელთ იგდეს დიდი მნიშვნელობის მქონე პოზიციები. ცდილობდა რა მდგომარეობის აღდგენას, მოწინააღმდეგემ 8 კონტრიერიში მოიტანა, რაც არა ერთხელ ვადადიოდა ხელჩართულ შეტაკებებად. დღის ბოლოს გერმანელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა. ბრძოლის შედეგად მოსპობილია 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 28 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებსა და ზურგს. გერმანელთა სამხედრო ეშელონების დაბომბვის შედეგად სადგურებზე სლავიანსკსა, კრასნოგრადსა და ლიხაროვზე ხანძრის 70-ზე მეტი კერა გაჩნდა და ბევრი აფეთქება მოხდა. ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს და დააზიანეს რამდენიმე ათეული ტანკი, აფეთქეს საომარ მასალათა 9 საწყობი, დაამსხვრიეს 200-მდე ავტომანქანა მოწინააღმდეგის ჯარებიანად და ტვირთიანად.

* * *

სპას-დემენსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მოიერიშე რაზმები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ რამდენიმე იერიში მოიტანა. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის იერიშები და მოსპეს 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგეს წავართვეთ 2 ქვემეხი და 58 ტყვიამფრქვევი.

დღის განმავლობა

მ. ი. კალინინი

ერთიანი მებრძოლი ოჯახი*

ამხანაგებო! მე დიდი კმაყოფილებით ვხვდები წითელი არმიის ავიატორებს—წარმომადგენლებს სსრ კავშირის თითქმის ყველა ეროვნებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დიდ სამამულო ომში. ეს ომი მძიმე და სისხლისმღვრელია. ბევრმა ოჯახმა ომის ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დანაკლისი განიცადა. მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, თუ არ ომის წარმოება. საკითხი ასე დგას: ან ჩვენ ჩექმები უნდა ვუწმინდოთ ფაშისტებს, მონებად დავუდგეთ მათ და დავიღუპოთ, ანდა ვიბრძოლოთ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. როცა გერმანელი ფაშისტები ამ ომს იწყებდნენ, ისინი ჩვენ ადამიანებად არა გვთვლიდნენ და მხეცს, პირუტყვს გვიწოდებდნენ. ასე ფიქრობდნენ ისინი წინათ. ახლა, ჩვენი დარტყმების შემდეგ, ფაშისტები სულ უფრო და უფრო ერკვევიან, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი. წინათ ისინი ყველა ჩვენს მებრძოლს რუსებად სთვლიდნენ, ახლა კი დაინახეს რომ მებრძოლები, ამასთან კარგი მებრძოლებიც, არიან არა მარტო რუსები, არამედ თურქმენებიც, ყაზახებიც, უზბეკებიც, აზერბაიჯანელებიც და სხვ. წინათ გერმანელები ფიქრობდნენ, რომ უკრაინელები და ბელორუსები მათ სიხარულით შეხვდებოდნენ და ამხელრდებოდნენ რუსების წინააღმდეგ. დანარჩენ ეროვნებებს გერმანელები საერთოდ არ იღებდნენ მხედველობაში.

ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი ხალხთა ერთიანი, შეხმატკბილებული ოჯახია, რომ ჩვენში ისეთი დარაზმულობაა, როგორიც მსოფლიოს ჯერ კიდევ არ უნახავს. რა თქმა უნდა, შეხვდებით სრულიად უმნიშვნელო ჭიანჭყანისებს, ცალეული ადამიანები თანხმდებიან იმუშაონ გერმანელებთან მამასახლისებად ან სხვა რაღაცეებად, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან, და ისეთი დიდი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. წითელ არმიაში წარმოდგენილ ყველა ეროვნებათა მებრძოლნი თავდადებით იცავენ თავიანთ სამშობლოს, შესანიშნავად იბრძვიან, უდიდეს მამაცობასა და გმირობას იჩენენ. აი ამას არასგზით არ მოელოდნენ ჩვენი მტრები.

ჩვენში ყველა ომობს. მეფის წყობილების დროს აზერბაიჯანელები და შუაზიის ხალხები: თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები და სხვები არ ომობდნენ, მათ არმიაში არ იწვევდნენ. მეფის მთავრობა არ ენდობოდა მათ და არა სურდა სამხედრო საქმე შეესწავლებინა მათთვის. თქვენ იცით, რომ თუ ომი, ერთი მხრივ, მოითხოვს ხალხებისაგან დიდ მსხვერპლს, მეორე მხრივ, იგი მამაკაცთა მოსახლეობას შეეძლებლობას აძლევს კარგად დაეუფლოს იარაღს. ხოლო ხალხი, რომელიც იარაღს დაუფლებია, არავის მისცემს საშუალებას ფეხი დაუბრუნონ მას კორძზე. ამიტომ მეფის მთავრობა არ უშვებდა არმიაში ამ ეროვნებათა წარმომადგენლებს. გარდა ერთი მუჰა ტულაკებისა და თავადაზნაურობისა, რომლებიც, არსებითად, მეფის მთავრობის აგენტები იყვნენ და მის პოლიტიკას ატარებდნენ.

საბჭოთა მთავრობას არა სჭირდება ასე მუდგომ ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს. ჩვენში ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი, ისინიც კი, რომლებიც წინათ ძალიან ჩამორჩენილად ითვლებოდნენ, ახლა მონაწილეობენ ომში. მე აღარ ვლაპარაკობ ქართველებზე, სომხებზე, თათრებზე, რომლებიც მეფის წყობილების დროსაც იღებდნენ ომებში მონაწილეობას.

რა თქმა უნდა, ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მოსახლეობის მიჩვევა ომისადმი, იარაღისადმი, მწყობრისადმი ადვილი ამოცანა როდი იყო. ამ ამოცანისათვის თავის გართმევა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო.

ჩვენ ხშირად ინტერნაციონალისტებს ვუწოდებთ ჩვენს თავს, მაგრამ ყველას როდი ესმის, თუ რას ნიშნავს ეს. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ თუ შენ ინტერნაციონალისტს უწოდებ შენს თავს, ეს იმას ნიშნავს, რომ არა სთვლი თავს რუსად, უზბეკად ან ყაზახად. ეს სისულელეა. ინტერნაციონალისტობა იმას ნიშნავს, რომ პატივი სცე თითოეულ ეროვნებას, აი რაშია საქმე. ნაციონალურ საკითხში ჩვენი მასწავლებელია ამხანაგი სტალინი, რომელიც მრავალი წელია წარმართავს ნაციონალურ პოლიტიკას. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ის ლენინის მრჩეველი იყო ამ საკითხში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის პატივი ვცეთ ყოველ ეროვნებას. და აი, თუ შენ პატივისცემით ეპყრობი ყველა ეროვნებას, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ინტერნაციონალისტი ხარ, ხოლო თუ შენ, მაგალითად, რუსი ხარ და სთვლი, რომ კარგია მხოლოდ ყოველი რუსული, შენ რუსოტიაპი ხარ, და არა ინტერნაციონალისტი. შენ ხარ ბეცი ადამიანი, რომელიც შენს ცხვირს იქით ვერ რაფერს ხედავ. სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ შესაძლებლობა შეაქმნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი აღმდგარიყო სამამულო ომისათვის, სტალინური პოლიტიკა გმირებად ხდის ყველა ჩვენს ხალხებს, გზას უხსნის ჩვენი ქვეყნის ყველა ნიჭიერ ადამიანს.

მართლაც, თუ საბჭოთა ადამიანი, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ნიჭიერია, ის სულ უფრო და უფრო დაწინაურდება. თქვენ იცით, რა მრავალ არიან ახლა წითელ არმიაში ყველა ეროვნების კარგად მომზადებული ოფიცრები. ახლა ისინი არიან ლეიტენანტები, ასოლტაზრდა პოლკოვნიკები, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი იქნებიან გენერლები და მარშლები. ჩვენში დაწინაურება სწარმოებს არა ეროვნების ნიშნის მიხედვით, არამედ ჭკუის მიხედვით, მამაცობის მიხედვით, უტკბო კაცი, ცუდი მეომარი ვერ დაწინაურდება, ხოლო თუ ადამიანი — მებრძოლი თუ ოფიცერი—ნიჭიერია, ჭკუიანია, თავისი საქმის კარგი მცოდნეა—ის ამაღლდება რა ეროვნებისაც უნდა იყოს. ამ პრინციპს მტკიცედ ატარებს ცხოვრებაში ჩვენი მთავარი სარდლობა. არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ამხანაგი სტალინი უპირატესობას აძლევდეს ამათუიმ ხალხს. ის მამაა ყველასათვის, ის თანაბრად ახალისებს და სასჯელს ადებს იმათ, ვინც ამის ღირსია, და აწინაურებს ყოველი ეროვნების ნიჭიერ ადამიანებს.

შეეცადეთ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხს—არაერული ეროვნების მებრძოლთა მიერ რუსული ენის შესწავლას. ეს შესწავლა მეტისმეტად საჭიროა. რუსული ენის გარეშე არმიაში იოლად ვერ წახვალ. რუსულ ენაზეა შედგენილი ჩვენი სამხედრო წესდებანი. ამ ენაზე იწერება საბრძოლო ბრძანებები გაიცემა განკარგულებანი. რუსული ენა სსრ კავშირის ყველა ხალხთა ურთიერთობის ენაა, რუსული ენა ლენინის ენაა, ამ ენაზე მიმართავს საბჭოთა ადამიანებს, წითელ არმიას ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი.

პირველ ხანებში არარუსი ეროვნების მებრძოლებს, რასაკვირველია, საკმაოდ შეზღუდულად ეკოდინებათ რუსული ენა, და ისინი, ცხადია, თავის მშობლიურ ენაზე იფიქრებენ. ამიტომ თუ თქვენ მოისურვებთ გადასცეთ მებრძოლებს რაიმე იმგვარად, რომ შეეხოთ მათს გრძნობებს, თქვენ გადაეცით იგი მშობლიურ ენაზე და თქვენი მსმენელები უკეთ იგრძნობენ იმას, რასაც ეტყვით თქვენ. მშობლიური ენა მიაღწევს მათ გულს, გადასცემს თქვენი აზრის ყოველ წვრილმანს. ამიტომ რუსული ენის შესწავლა არ ათავისუფლებს აგიტატორს მოვალეობისაგან იმუშაოს არარუსი ეროვნების მებრძოლებთან მათს მშობლიურ ენაზე. რუსული ენა შეისწავლეთ. მაგრამ გზა მებრძოლის გულისაკენ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, გაკვალეთ მშობლიურ ენაზე. და ძალიან კარგია, რომ აგიტატორებს ჩვენ ვკრებთ იმავე ეროვნების ადამიანებისაგან, რომლებსაც მებრძოლნი ეკუთვნიან.

ომის განმავლობაში ძალიან გაიზარდნენ ყველა ჩვენი ხალხები. აი, თქვენ ამბობდით, რომ უზბეკები გეკითხებიან—როგორ არის ბითთან ბამბის საქმე. ახლა უზბეკეთისათვის ბამბა არ არის მთავარი რამ, ბამბა მთავარი დარჩა მხოლოდ უზბეკეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. ახლა უზბეკეთს უდიდესი მრეწველობა აქვს. ომის განმავლობაში იქ გადაიტანეს ბევრი ფაბრიკა და ქარხანა, იქ გაიხსნა ქვანახშირის მაღაროები, მუშაობენ ახალი ჰიდროსადგურები. და ახლა უზბეკეთის შესახებ უკვე ვეღარ იტყვი, რომ იგი განთქმულია მხოლოდ ყურძნითა და ბამბით, ვერა, ვერ იტყვი. ახლა ეს დიდი მრეწველობის მქონე რესპუბლიკაა. წინათ იქ თითქმის სულ არ იყო მუშათა კლასი, ახლა კი უზბეკეთში ასიათასობით მუშაა.

ომი ყველა ჩვენი ეროვნებისაგან მოითხოვს დიდ მსხვერპლს—მატერიალურსაც და ადამიანების მხრივაც. მეორე მხრივ, ყველა ჩვენს ხალხებს უმუშავდებათ სიმტკიცე, უვითარდებათ მოქალაქეობრივი გრძნობა, უფა-რთოვდებათ ჰორიზონტი. ხალხები მთელი თავით იზრდებიან და შეიძლება ითქვას რომ მსოფლიო ასპარეზზე გამოდიან. მართლაც, წარმოიდგინეთ, როგორნი დაბრუნდებით თქვენ შინ, როდესაც ჩვენ გერმანელებს დავამარცხებთ. თქვენ დაბრუნდებით შინ ახალ ადამიანებად, მე ვიტყოდი, მსოფლიო სახელის მქონე ადამიანებად, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი უუფლებლობა.

აქ გამოსული აგიტატორები სწორად ლაპარაკობდნენ, რომ ყოველ ეროვნების განსაკუთრებით უნდა მიუდგე იმიტომ, რომ თითოეული ეროვნების ადამიანება ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა პირობებში, ეს კი სტოვებს კვალს თვით ხალხზე. მაგალითად, კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ხალხები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ათრალს და იარაღის გადაცემას სახეიმო ვითარებაში მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უზბეკები დიდ პატივს სცემენ მოხუცებს. აგიტატორმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს თავის მუშაობაში ამათუიმ ხალხის ნაციონალური ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არსებობს საერთო მიდგომაც ყველა ჩვენი ხალხებისადმი. თქვენ იცით, რომ მებრძოლისათვის, რომელიც კარგად იბრძვის და ერკვევა ვითარებაში, აგიტატორს მაინცა და მაინც ბევრი რამ არაფერი აქვს სათქმელი. მაგრამ აი, მებრძოლს, ეს ქართველი იქნება, ყაზახი თუ უზბეკი,—რომელიც ცუდად იბრძვის, ან სულმოკლეობას იჩენს, აგიტატორს შეუძლია დაახლოებით შემდეგი უთხრას: „ნუთუ შენ გსურს, რომ ჩვენ არ ვმონაწილეობდეთ ომში. როდესაც დანარჩენი ეროვნებანი ლომებივით იბრძვიან? ბრძანა ჩვენ შეგვიძლია ომს ჯანზე გავუდგეთ? ნუთუ შენ გსურს, რომ მარტო შენი გულისათვის სულმოკლედ ჩასთვალონ მთელი ჩვენი ხალხი? აბა იფიქრე, განა კარგი იქნება, თუ ჩვენს რესპუბლიკას ისეთ ქვეყნად ჩასთვლიან, რომლის ხალხს არ შეუძლია ბრძოლა, არა აქვს ომისა და თავის დაცვის უნარი? ამის შემდეგ როგორ-ღა უნდა გავუსწოროთ თვალი სხვა ხალხებს, როგორ-ღა უნდა გავწითო წინ. განვავითაროთ ჩვენი კულტურა? განა მარტო შენა ხარ ომში? ახლა ყველა ომობს. შენ კი რა, არ გინდა იომო? გინდა, რომ ჩვენ დაგვიმონონ? უკაცრავად შენთან, მაგრამ ამის ნებას არ მოგცემთ. უმჯობესია ბრძოლაში დალუპვა, ვიდრე მშიშარსა და ცდმცემის დაღით შინ დაბრუნება. ომი ახლა ზღვიდინარეობს არა რომელიმე ქალაქისა ან ტერიტორიისათვის, არა იმისათვის, რომ გერმანელებს სურთ ხელთ იგდონ რომელიმე ოსაზღვრე ქალაქი, ჩვენ კი მას არ ვაძლევთ. ომი სწარმოებს იმისათვის, რომ გერმანელები მიისწრაფვიან მონებად გვაქციონ და ჩვენს ძვლებზე ააგონ თავიანთი მსოფლიო ბატონობა. ხელში ჩაგდებული ტერიტორიებიდან მათ გერმანიის კატორღაში ფარიკეკს ბევრი საბჭოთა ადამიანი. ამ ადამიანებისაგან ძალიან ბევრი ამოწყდა შიმშილისა და აუტანელი შრომისაგან. აი, ყველივე ამის წინააღმდეგ ვიომობთ ჩვენ. ახლა ვერ იტყვი, ომი სადღაც დასავლეთში მიმდინარეობს და ჩვენ არ გვეხებაო".

როდესაც ადამიანს მშობლიურ ენაზე ელაპარაკები, შეგიძლია უფრო თავისუფლად ესაუბრო, რადგან იგი ყველაფერს გაიგებს როგორც საჭიროა. უზბეკი უზბეკთან ან ყაზახი ყაზახთან უფრო თავისუფლად ბრძნობს თავს. და თუ მებრძოლები გეტყვიან თქვენ: „რათ გველაპარაკები ასე, რათ გვლანძღავო", ამის საპასუხოდ თქვენ შეგიძლიათ მოუგოთ: „მეც უზბეკი (ან ყაზახი) ვარ, თქვენზე არანაკლებ მიყვარს ჩემი ხალხი, ამიტომაც ასე ვლაპარაკობ".

ყოველი ადამიანი, მათ შორის რუსიც, ამაყობს თავის ეროვნებით და არ შეუძლია არ ამაყობდეს. იგი ხომ თავისი ხალხის შვილია! ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საagიტაციო მუშაობაში ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ. აღზარდეთ ჩვენს ხალხში საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული სიამაყე, მოიგონეთ ყოველ მებრძოლს მისი ხალხის გმირული ტრადიციები. მისი მშვენიერი ეპოსი, ლიტერატურა, დიდი ადამიანები — სარდლები და მხედართმთავრები, მებრძოლები ხალხის მასების გათავისუფლებისათვის. მაგრამ მხოლოდ ეს ხომ ცოტაა. ჩვენი ადამიანების ეროვნული სიამაყე და პატრიოტიზმი უნდა საბრძოლო საქმედ ვაქციოთ. ყოველ ხალხს თავისი ეროვნული გმირები ჰყავს. დაე, უფრო გამრავლდნენ ისინი. ახლა ომია, და იგი, როგორც ცნობილია, გმირებს წარმოშობს. აღზარდეთ თქვენი მუშაობით გამბედავი, მამაცი მეომრები. დაიხმარეთ წითელი არმიის სერჟანტებისა და ოფიცერთა შემადგენლობის კადრების აღზრდის არარუსი ეროვნების მებრძოლთაგან.

სსრ კავშირის ხალხები სთვლიან—და საკუთარი სწორად სთვლიან—რუს ხალხს თავის უფროს ძმად. რუსი ხალხის გმირულ წარსულს, მის ეროვნულ გმირებს და ადამიანებს თქვენც კარგად უნდა იცნობდეთ და უამბობდეთ მათზე არარუსი ეროვნების მებრძოლებს. ეს კიდევ უფრო მეტად დააკავშირებს ჩვენი ქვეყნის ხალხებს ერთმანეთთან, განამტკიცებს მათს მეგობრობას.

ხალხთა მეგობრობა უნდა განმტკიცდეს არა მარტო წარსულის ფაქტებითა და ამბებით. ფრონტზე შეიძლება შეხვდე სხვადასხვა ეროვნების მებრძოლთა ხარბრძოლო მეგობრობის შესანიშნავ მაგალითებს. გასწიეთ ამ მაგალითების პროპაგანდა, საყოველთაოდ ცნობილი გახადეთ ისინი. თქვენ, აგიტატორებს, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ ამ მიმართულებით.

ამჟამად ომის ვითარება ჩვენთვის სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება. ეს ჩვენი ყველა ეროვნების მებრძოლთა დამსახურებაა. ყველა ჩვენი ხალხები ეჯიბრებიან ერთმანეთს გმირობაში, თავგანწირულად და ვაჟკაცურად ებრძვიან მტერს.

ჩვენი წითელი არმია ერთიანი საბრძოლო ოჯახია, რომელშიც ყველა ხალხები მტკიცე ურღვევი მეგობრობით ცხოვრობენ. ხოლო ხალხთა მეგობრობა, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, ყველაზე ძვირფასია, რაც კი მოგვცა ბოლშევიკურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ. ეს მეგობრობა უტყუარი საწინდარია ჩვენი გამარჯვებისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე.

(„კრასნაია ზვეზდა", 21 აგვისტო).

ორმოცმა კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა პურის ჩაბარების წლიური გეგმა

ხაშური, (საქდესი). აგვისტოს მეორე დეკადის დასასრულს ხაშურის რაიონის კოლმეურნეებმა ჩაბარეს სახელმწიფოს 3.538 ცენტნერი მარცვალი. ეს 204 ცენტნერით აღემატება შარშან ამ დროს ჩაბარებული მარცვლის რაოდენობას. 1.500-ზე მეტი ცენტნერი მარცვალი გამოიყვეს კოლმეურნეებმა წითელი არმიის ფონდისათვის.

რაიონის 40-მა კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა პურის ჩაბარების წლიური გეგმა. 9 სასოფლო-სამეურნეო არტელმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა. მოწინავეთა შორის არიან სოფელ ყელეთის, აგარების, ახალიგბნისა და სხვა კოლმეურნეობები.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

საჩხერე („კომუნისტი" საკ. კორ.). საჩხერის რაიონმა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 20 აგვისტოსათვის 146 პროცენტით შეასრულა. არგვეთლმა კოლმეურნე ქალმა მუკიტარიძემ 35 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ჩაბარა. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ჯ. ჭიოკაძე

მოსავლის აღება

(საქმიწასახკომის 20 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	თვითვალური კულტურების აღება ჩრდილოეთ პროცენტებით		ბალნეულია თვითვალური კულტურები პროცენტებით		თიბვის აღება პროცენტებით		თამბაქოს შეტება პროცენტებით	
აფხაზეთის ასსრ	—		—		16,6		16,6	
აჭარის ასსრ	—		—		41,2		14.2	
სამხრეთ-ოს. ა. ო.	67,8		59,9		70,7		—	
ცხინვალი	—		—		7,4		—	
ზუგდიდი	—		—		18,7		33,3	
ხობი	—		—		12,5		—	
ლანჩხუთი	—		—		6,4		—	
ჩოხატაური	—		—		0,8		5,7	
ქუთაისი	—		—		83,8		—	
სამტრედია	100,0		100,0		—		—	
მაიაკოვსკი	—		—		116,0		—	
ციათურა	95,9		93,9		62,5		—	
საჩხერე	98,9		83,3		119,2		—	
ორჯონიკიძე	94,1		92,6		122,9		—	
ონი	58,2		16,3		56,9		—	
ამბროლაური	90,0		75,4		79,0		—	
ცაგერი	99,0		62,7		44,5		—	
ქვემო სვანეთი	—		—		53,6		—	
ახალქალაქი	32,6		1,7		111,8		—	
ბოგდანოვკა	6,7		6,6		105,6		—	
ახალციხე	92,3		39,5		68,4		—	
ადიგენი	79,7		34,9		80,3		—	
ასპინძა	63,1		20,8		101,1		—	

რაიონები	თვითვალური კულტურების აღება ჩრდილოეთ პროცენტებით		ბალნეულია თვითვალური კულტურები პროცენტებით		თიბვის აღება პროცენტებით		თამბაქოს შეტება პროცენტებით	
ხაშური	98,8		89,8		100,0		—	
ქარელი	98,6		84,5		90,0		—	
გორი	90,1		68,4		146,0		—	
ყასბი	94,4		42,3		139,5		—	
ბორჯომი	27,2		71,9		68,9		—	
წალკა	5,4		9,7		105,4		—	
დუშეთი	80,0		48,6		54,9		—	
თეთრი წყარო	80,8		43,8		102,7		—	
თიანეთი	45,4		17,0		106,0		—	
ფოცხოვანი	100,0		71,5		100,0		20,8	
სიღნაღი	100,0		96,3		103,0		17,5	
წითელწყარო	97,3		53,6		100,0		—	
თელავი	98,6		58,1		178,0		—	
ყვარელი	100,0		91,4		114,2		16,6	
ლაგოდეხი	100,0		68,2		100,0		54,6	
თბილისი	87,4		41,3		110,3		—	
მცხეთა	98,1		29,8		68,8		—	
ყარაია	100,0		46,8		104,3		—	
ბორჩალო	98,9		71,9		92,6		22,8	
ბოლნისი	100,0		54,8		141,2		9,9	
საგარეჯო	93,8		56,8		96,2		—	
დაშკესანი	44,7		31,4		101,8		—	

ადიგენისა და ონის რაიონების ცნობები 15 აგვისტოსია.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(ტრესტ „საქჩაის" 20 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	აგვისტოს გეგმის ბესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით		წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით		რაიონები	აგვისტოს გეგმის ბესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით		წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	
ბათუმი	32,1		64,0		ფულეკიძე	32,3		72,2	
ქობულეთი	27,9		62,3		ქუთაისი	41,3		82,8	
ფალი	33,1		69,8		წყალტუბო	43,4		83,6	
ოჩამჩირე	22,9		62,5		ტყიბული	43,3		80,9	
გულრიფში	50,7		78,5		ცხაკაია	33,0		74,6	
სოხუმი	14,3		70,0		აბაშა	18,6		71,3	
გუდაუთი	67,5		84,4		გეგეჭკორი	19,6		66,9	
მაბარაძე	32,4		72,2		ზუგდიდი	26,0		70,4	
ჩოხატაური	37,9		73,3		წალენჯიხა	38,5		76,0	
ლანჩხუთი	30,8		68,9		ჩხოროწყუ	22,9		69,1	
სამტრედია	45,2		80,8		ხობი	35,1		73,5	

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ხუცუბნის (ქობულეთის რაიონი), შრომის და ბაღალი ეწრის (მახარაძის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 15 აგვისტოს მაჩვენებლები.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ზუგდიდი („კომუნისტის" კორ.). ომის დღეებში კიდევ უფრო ნაყოფიერი და შემოქმედებითი გახდა ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (დირექტორი ამხ. ილია გოგია) მუშაობა. შექმნილია ახალი განყოფილებანი, შეძენილია მრავალი ძვირფასი ექსპონატი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისადმი. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალები და მხატვრული ილუსტრაციები, რომელნიც გვიჩვენებენ სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილ განმათავისუფლებელ ბრძოლებს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ განყოფილებაში გამოფენილია სამამულო ომის ფმხრთა ფოტო-პორტრეტები და ფერწერით შესრულებული ნამუშევრები—ბრძოლის ეპიზოდები.

მნახველნი, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად 200-300 კაცზე მეტია, დიდი ინტერესით ათვალიერებენ ნადავლ საომარ იარაღს. ეს იარაღი გერმანელებს წაართვეს დეკემბრიმა საბჭოთა მეომრებმა.

უხვი მასალებია ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს გმირთა წარსულიდან, მათს შორის — ალექსანდრე ნეველზე, ერეკლე მეორეზე, გიორგი სააკაძეზე, გენერალ პრუსილოვზე.

მეტად საინტერესო და ძვირფასი ექსპონატებია წარმოდგენილი 1812 წლის სამამულო ომის შესახებ. ნაპოლეონის არმიის განადგურებას წარმოგვისახავენ დიდი რუსი მხატვრის ვერეშჩაგინისა და სხვა მხატვრების სურათების რეპროდუქციები. აქვე არის პორტრეტი გამოჩენილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონისა, რომელმაც ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებით უკვდავი სახელი მოიხვეჭა.

მუზეუმში შექმნილია აგრეთვე ახალი განყოფილება, მიძღვნილი მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების ილია მეუნარგიას, გიორგი ჭალადიდელის, დუტუ მეგრელის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

მუზეუმს განზრახული აქვს უახლოეს დროში გამოსცეს, თავის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავებული მასალების კრებული — „მოამბე".

ხ. ბერულავა

დეპეშები

სვიმსონი კვებეკს ჩავიდა

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის საagენტოს კვებეკელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი სტიმსონი კვებეკს ჩავიდა.

დიდი ანგიფაშისტური დემონსტრაციები ინგლისში

სტამბოლი, 22 აგვისტო (საკდესი). ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ალბანეთში დიდი სახალხო დემონსტრაციები ხდება ოკუპანტების წინააღმდეგ. დემონსტრანტები ჩამოგლეჯენ ხოლმე ფაშისტურ პლაკატებს და სცემენ საოკუპაციო ნაწილების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ოკუპანტებმა ხალხის მღელვარების ჩასახშობად დიდი სამხედრო ნაწილები გაგზავნეს ელბასანსა, ბერატსა, არგიროკასტრონსა, კორჩსა და შკოდერში. დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკებიც კი მოქმედებენ. უკანასკნელ დღეებში ქალაქების ქუჩებში ასობით ალბანელი მოჰკლეს. დაპატიმრებულ იქნა დემონსტრაციების ათასობით მონაწილე. მაგრამ ალბანელთა ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ სულ უფრო მეტი ძალიერებით ჩაღდება. ამ ცოტა ხნის წინათ ალბანელმა პარტიზანებმა გაქელიტეს იტალიელთა რაზმი, რომელიც დაპატიმრებულთ ბადრაგობდა. ოფიცერი, რომელიც ამ რაზმს მეთაურობდა, ტყვედ წაიყვანეს. იტალიელთა სარდლობამ ბერატის ოლქის რამდენიმე რაიონში ერთი პოლკი ჯარისკაცები გაგზავნა, მაგრამ პარტიზანებმა საკუთარი ალბანელები, ერეკლე მეორეზე, გიორგი სააკაძეზე, გენერალ პრუსილოვზე.

მეტად საინტერესო და ძვირფასი ექსპონატებია წარმოდგენილი 1812 წლის სამამულო ომის შესახებ. ნაპოლეონის არმიის განადგურებას წარმოგვისახავენ დიდი რუსი მხატვრის ვერეშჩაგინისა და სხვა მხატვრების სურათების რეპროდუქციები. აქვე არის პორტრეტი გამოჩენილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონისა, რომელმაც ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებით უკვდავი სახელი მოიხვეჭა.

მუზეუმში შექმნილია აგრეთვე ახალი განყოფილება, მიძღვნილი მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების ილია მეუნარგიას, გიორგი ჭალადიდელის, დუტუ მეგრელის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

მუზეუმს განზრახული აქვს უახლოეს დროში გამოსცეს, თავის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავებული მასალების კრებული — „მოამბე".

ხ. ბერულავა

ჰიტლერელთა მეთაურები აბუჩად იგდებენ გერმანიის ქალაქების ევაკუირებულ მოსახლეობას

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ცნობით, ამ ცოტა ხნის წინათ ტენგერნზეის რაიონის (მიუნხენის სამხრეთით) ხელისუფლებამ წინადადება მისცეს ქალაქ ნიურნბერგიდან ყველა ევაკუირებულ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ეს რაიონი. ტენგერნზეის ხელისუფალნი მოქმედებდნენ ჰიმლერის ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც ამ რაიონში მამული აქვს. ასეთივე ბედი ეწია ლტოლვილებს, რომლებიც ბერხტესგადენის ოლქში გაიხიზნენ, სადაც, როგორც ცნობილია, ჰიტლერის სასახლე მდებარეობს. ევაკუირებულნი გააძევეს ჰიტლერის პირადი ბრძანებით.

ყოველ დიდ ფაშისტ მეთაურს უფლება აქვს სრულიად გაუფრთხილებლად გამოაცხადოს ნაკრძალ ზონად რაიონი, რომელშიც მისი სახლი ან მამული მდებარეობს. ამასთან დაკავშირებით ხელისუფალნი ლტოლვილებს ჰგზავნიან უმთავრესად გერმანიის აღმოსავლეთ რაიონებში და პოლონეთში, სადაც სხვადასხვა ეპიდემია მძვინვარებს.

13 აგვისტოს შემდეგი შემთხვევა მოხდა: ლტოლვილებით სავსე მატარებელი ნიურნბერგიდან აღმოსავლეთი მიმართულებით მიდიოდა, ამასთან ევაკუირებულებმა არ იცოდნენ, თუ საით მიჰყავდათ ისინი. წამოსვლიდან 36 საათის შემდეგ ლტოლვილებმა შეიტყეს, რომ მათ ჰგზავნიან ისეთ რაიონში, სადაც ეპიდემია მძვინვარებს. მაშინ ლტოლვილებმა საავარიო მუხრუჭის საშუალებით დაუყოვნებლივ გააჩერეს მატარებელი, გადასხდნენ გაშლილ მინდორში ბავშვებიანად და ბარგი-ბარხანითურთ და, მათი თანმხლებელი მოხელეების მუქარის მიუხედავად, ქვეითად გაიფანტნენ სოფლებში.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმიის ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი

22 აგვისტოს შესდგა საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი. მოხსენებით წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობისა და მისი შემდგომი ამოცანების შესახებ გამოვიდა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. ობოლაძე.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის